კვირა, 15 დეკემბერი 1913 წ.

ფასი 5 კაპ.

მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 8

გამოვა ყოველ-კვირაობით, თუ ჩვენი კორესპონდენტები ხელს შეგვიწყობენ. მისამართი: Тифлисъ, Типог. Шрома, «Матрахи»

ბურჟუაზია და თავად-აზნაურობა

1232



— აი, აგრე აგაცურებთ ჰაერში, ჩემი სასწორით.

— მშვიდობით ჩვენო ქალაქო თბილისო!

ქოხი.

ზემოდან სწვიმს, გვერდიდან ჰქრის,
მინგრეულა კედელ-ყურე,
ვერსად ნახავ მშრალად დაჯდე
შიგ ჭენჭეხი - სიბინძურე!..
თქვენ გგონიათ ეს სურათი
შედეგია სიზარმაცის?.
ქვეყანაზედ არ მომხდარა
შრომა მეტი გლეხი კაცის!.
ლომკაცია ჩვენი პეტრე
სულ გადახნა მთელი გორა,
იქ მოთოხნა, აქ მობარა,
მიასწორა — მოასწორა...
თუმცა შრომა არ დაზოგა —
დღე და ღამე გაასწორა,
მაგრამ ამით ჩვენმა პეტრემ
მაინც ვერა გაწყო-რა.
წილათ ერგო სიღარიბე,
ფარატინა მისი ქოხი...
ტანზე ვერა ჩაიცვა-რა,
ხელში შერჩა მხოლოთ თოხი!.
მეკომურათ ჩაგვიწერეს,
რადგან კომლი ამოფუის;
ალბათ ასე მოისურვეს
მეპატრონეთ დიდი ჭკუის..
(მაინც იბრძვის ჩვენი პეტრე,
თანაც იმედს იორკეცებს,
მისი თინაც დაფარფაშობს,
არ ეშვება თავის კეცებს!)
ოფლს იწურავს ჩვენი პეტრე,
სიცოცხლეა მისი დრამა,
მასვე უნდა ახდევინონ
ხუცებისთვის ისევ დრამა!!.

იონა თლუღელი.

მკლავაძიზმი

მისი მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ჩვენი კურთხეული კუთხეც არ ჩამორჩა „მკლავაძიზმს“, ვითომ და პირველი მისი წარმოშობა გურიას არ ეკუთვნის? მათი სამშობლო გურია არ არის? აი ამ მკლავაძიზმმაც განვლო ბევრი ეტაპი, ის ნინოშვილს შემდეგ ახალ ფორმებში ევლინება ჩვენს სამშობლო ქვეყანას, მის ასაყვავებლათ ეს ახალი ფორმით მოევლინა ჯერ ხონსა და სამტრედიას. სამტრედიაში ისეთი ნიადაგი მოიპოვა მან რომ ნაყოფიც გამოიღო (ერთი იმსხვერპლა) იქედან გადმოდის ჩვენშიაც და ჩნდება შემოქმედის ლალ ბუნების წიაღში. იქედან გამოივლის და ფოთს ამოყოფს თავს და უკანასკნელ დღეები პირველ განვითარებისა იქ თავდება ჯერ ჯერეობით. მარა მკითხველო არ გეგონოთ ამით თავდებოდეს მათი გზა, არა. როგორც გავიგეთ ამ „მეცნიერების“ მამათმთავართ მოუწვევია კონფერენცია, რომელსაც მეთაურობდა ფოთელი როსტომაშვილი (რომელსაც დაუმტკიცდა მკლავაძისტების პარტიის წევრობა და 20 წლის კატორღა აქვს მისჯილი) შემოქმედელი ჩხატარაიშვილი, ხონელი და სამტრედიელი და სხვა სადაც გამოითქვა ისეთი აზრი, რომ საჭიროა, როგორც ოქტომბრისტების ბელადმა გუჩკოვმა ალიარა ტაქტიკის შეცვლაო და კონფერენციამაც დაადგინა: ვინაიდან ჩვენ ანტიპრეს-მკლავაძისტების პრინციპები ინდივიდუალურია, ჩვენ მხოლოდ ჩვენი თავი გვწამს და მეტი არაფერი, ამისათვის სასურველია შეიცვალოს ჩვენი ტაქტიკა, ვინაიდან თურმე ჩვენ მეოცე საუკუნეში გადმოვსულვართ. ამისათვის ჩვენი მოქმედება გამოიხატებოდეს მხოლოდ იმ პრესის კორესპონდენტების დაჭერა, რომელნიც ჩვენ და ჩვენ წევრებს რაიმეს შეკადრებს და გაზეთში ჩააგდებს. სხვა უბნის რა მოგახსენოთ და ოზურგეთში ასეთი პარტიის გმირი ორნი გვყავს. გერმანე გერმანელი („უპრავის ღლასნი“) სანდრო მელექედურელი („პედაღოღი“) ულვაშებს იხუჭავს ახალ მოდაზე. პირველმა უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი, მას დიდი ოვაციებით შეხვდა „ღლასნების“ ნაწილი, მარა ჯერ კორესპონდენტები ვერ აღმოაჩინეს, მას მხარი დაუმშვენა „ღლასნ იგორმა“. მეორე პედაგოგ სანდროს მოღვაწეობა დაიწყო სამკითხველოს გამგიდან, ისიც ისეთი სუსტი აღმოჩნდა, რომ ვერც მან მიაგნო კორესპონდენტთა კვალს. ამბობენ ეს ორი გმირი იწვევს დასახმარებლად მესამე შემოქმედელსაცო. ამ „სიმპატიურ“ პარტიის არსებობა ისე გვაინტერესებს ჩვენ რომ ვეცდებით ჩვენს მკითხველებს კიდევ მივაწოდო, მათი მოქმედების და განვითარებას შესახებ ცნობები.

წელკავი.

ბულბული და მებაღე.

იგავისებური.

I.

ბულბულმა მოსულ მებაღეს
ბაღი დაუთმო ნებითა;
დაუთმო თავის უფლება
თვისი წარსულის ქებითა!
უთხრა: „დროებით გაბარებ
და კარგად მოუარეო,

გასწმინდე, მორწყე, მოლობე,
მოთოხნე, გამობარეო.
მტრები ჰყავს შემოსეული
ამ ბაღსა შინ და გარეთა—
დავსუსტდი, ფერი დავკარგე,
ვკვნესი და ვშფოთავ მწარეთა.
ძალას ვერ უპირდაპირებ,
ულონოთ ვზივარ, ვსტირია
და ძალა გამოლეულზე
ყველა მებრძოლი—გმირია!
დამიცევ განსაცდელიდან,
განდევნე ჩემი მტრებიო,
რომ თავისუფლად გავშალო
ჰაერში ჩემი ფრთებიო!
როს საქმეს მოაწესრიგებ
და დამიბრუნებ ძალასა
შენ ნიშნად დაგაჯილდოებ
გარგებ ტყესა და ქალასა!
განრისხდი, მტრებსა შეასვი
ნაღვლ-ნარევი შხამია,
ბაღს დაეუფლე დროებით,
არ მიღალატო ძმია!".

II.

მებაღემ უთხრა: „ძოგიკვდეს
უდროოდ ჩემი თავიო,
თუ შენი მტრების დედებსა
მე არ ჩავაცვა შავიო!
დავტრიალდები რისხვითა,
სუყველას ვიფრენ წინაო,
ურჩობას ვერვინ გაბედავს
ვერც გარეთ ვერცა შინაო!
ცას რისხვით მოუტრიალებ,
მტრებს ბაღის მონატრულებსო,
სად მკვლავი ვერ გაიმარჯვებს,
იქ გავამარჯვებ ფულებსო!
და მერმე შენ დაგიტოვებ
ბაღს შვებით აყვავებულსო,
გამიხარდება, რომ გნახავ
მეზობელს გახარებულსო!
ღალატი ღმერთმა მაშოროს,
აბა, რა რიგი-წესია,
მეც გული მტკივა ძმობილო,
მტრები რომ შემოგესია!
აწ ფიქრი ნუ გაქვს, გაფრინდი,
ისტვინე ყოველ მხარესა—
ღრუბელს გავარღვევ, გავფანტავ
და გამოგიჩენ მთვარესა!
ბაღს დაგიმშვენებ, დაგიტოვ,
შენს მტრებს დაუწყებ გმობასა
და შემდეგ გაჭირვებაშიც
გაგიწევ მეგობრობასა -...
ბულბულს მართალი ეგონა,
ფრთები გაშალა, გავარდა
და ნიშნათ სიხარულისა—
ჰაერში გაინავარდა.

ვაშა-ბაქურა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

გურული სცენა.

ცოლ-ქმარის ბუნტი.

„ჯღიბაი თუ ფეხზე დეისვი იმ მინუთში კურიელსავით თავის კოსროში შეგაღოლდებაო"—იმ მამაცხონებულს თლათ ზაკაზეთ ჩემთვის არ ქონია გამოკოპიტებული? არა! მაინც რეიზა ვერ დივეტიე ჩემ კანში. სიდოური „იმერთ-ერის" დათიკაი მე ვარ პაპაგანტისტობა და აქ-იქაური ბტყელ-ბტყელი რეჩის თქმაი ზეთსავით წავაწირწკილ-წერტილო... არ შევეპუე არავის, აბა „ერის" გაზეთ გურულების გაფერადისტება რავა დევიჯერე; დუუწყე ჩხიკინი „ხუმარასავით" და ქარ ავაშავ-ბნელ-მწვან-ჭრელე ჩემი აპილო მამულიშვილთა ბანაკსავით?! ოჯო, იცი რა უნდა გახარო? ლანჩხუთის პარუსკაი ქალებს ჩამოუკიდია კისერში ძაღლის სახიფსავით დამხჩვალი კატა, დუუჯენჯია თავზე ბურდღა-ბონდო და მიჯადრ მუუჯადრავს რაღაც წრეი; სდგამენ სანტიმეტრით ლექციას, მირსხლობით რეფერატს; აბა არშიყობა და კოცნის ტეხა მსხროვა რა საკვირველია დუღს და გადადუღს. თუ გახსოვს „პიატი ღოდაში" ასვარიე-დასვარიეს დროს ერთი „ანარქისტი" ქალებს რომ უქადაგებდა: ცოლმა სადილი აჩუხჩუხოს—ქმარმა ვახშამიო, ცოლმა გიტარა დუუკრას—ქმარმა თოხი გორროხშიო—ღმერთი არ მოგასწროფს იმ დროს მარა, იგი მუაო. რავა მეგონა, აი აპუნტ-პირპილებდა და ანძორებდა ამ საკალბასეს თვარა ღრინს რავა დავძრავდი.

ერთ საღამოს მეიბა ქეზი და შეიხვია თავი ჩემმა აპილომ ჭიაფერაის ფურცლით, დეიწყო კუთვა, მუუხშირა თქნარებას და ქშინვას მაშინასავით, ხან გადანაბა თვალი, ხან დამიშტიმა მილიონის მქონესავით და ამფერობით მელა-კუდამ ქარ დამაფაცურა?

— ბოშო! სალავათს გეფიცები გონჯათ ვარ, რაცხაა მთელი ნასხამი დეიარა, ჯერ თავში დამიძაგუნა, მერე გული ფურნესავით გამიხურა, ახლა მუცელში ჩავარდა და ბგიალ-ბგიალი გაქვს, ერთი დაბზიალდი და გურიელს რო ეკადრება იმისთანაი ვახშამი გამიკეთეო.

თუ ჩებერიაჩქამ მთელი ქვეყანა მუატყუა ანდრუშაი „რიტუალა“ ბეილისმა მოკლალა, ჩემი შეცთენა ცოლს ფიეუა-მაგარას ჩაატკვლეცდა?! დასთურ ქი დუუჯერე და იმისთანაი კრიპუსავით ჭყიმაის ფხალი გავაკეთე რო, სანამ ერთი ჯამი მარტო არ მიირთვა ნაკერავზე გეირღვა. დავწევით - მარა ვაი, ამისთანა ცოლთან წოლას და მოსვენებას;—შამფურზე წამოცმული გოკსავით დეიწყო ტრუალი; მარცხენა ფხარზე დევიწვინე და ქვენა ქარი მიქირქილებსო, კედლისკენ—გევიჭარჭყებიო, თავ-ბოლო შექცევით—გაასარსალა ფეხი და არ ქნა, ფეხებს დამაზავეფო. მომივიდა კუჭი... ქალო! რავა მობღუნკულხარ ნიგოითის მწერალსავით და ანძაღებული მიზეზოფ ჩიბათის მახარბელასავით მეთქი. თუკი ამდეხანს—იწევი და პროშტი-პრუშტით დუნჩს მისივებდი, ახლა რა ბზიკი შეგიჯდათქვა.

— მუდამ დაჯაბნებული და დაკოღინებული არ გვინდა ქალებმა ვიყოთ, აწი ახალი კალონითნება ჩვენია' და ოჩერედით თქვენი იყოს წოლაო.

— რას ბეუტუროფ თუ იცი, შენი რო გეიყვანო ხომ უზიარებელი ნეტროსიასავით ღინწკულაით დამკლავთქვა.

რას ბეუტუროფ რავა მკადრეო და გეითხლარწა ლოგინზე, გეიწეწა თმაი და მოყვა ბლიქვინს: „ყველაყაი ცოლს სიმპანტიას უჩივა, ყველაყაი „მოდნი შლიპას“ ახურავს, „ტოპლი“ შანტლაკერს აცუმს, რიზინის პოლსაბოშკს აგლეჯიებს, „კრემ-მატა-მარკოზას“ აჭუმს და „ლადიკონონს“ ასუმს, მე ამ მუტაკია ყაძახმა მომინელა, არ მაძლევს საშველ-სახიდებელს ერთცუცქუნაი ჯარში თავი გამოვყო, სულ მაღლა ფეხებ დაკიდული რავა უნდა მა ყოფოს. წმინდაო გიორგი! ერთ კვირაში გოგიე მატირე და მაზედ ქვრივათ დამაჯინეო“.

აგი თქვა თვარა რაცხამ მძეძგვა თავში კორკოტანასავით, გავცოფთი კაკალი კაცი უზნაურ ჯამბაზია ნიკოლაიასავით, ვეძგერე ყორეში და გადმოვაბრძანე ჩემი საქვრივ-ქალბატონე ლოგინიდან, ჩუუბუშტე პირში მისი ნაპინჭევი, გავწვართე მიწაზე, შევდექი ზურგ-მუცელზე და ვთელე და ვთელე, ვზილე და ვთელე—რავარცხა გული მაშინ გევინთელე როიცხა საჩოხე შალივით კარგათ რო მოვთელე...

თემუყაი.

ქალაქების ბაქი-ბუქი.

თბილისმა დაიტრაბახა:
„ქალაქი ვარ ქებულიო,
კიდე ჩამობნელებული,
შვაგულ გაშუქებულიო!
ვაჭრები მყავს ლიპიანი,
გვერდებ ჩასუქებულიო;
ხმოსნები კი—ხრინწიანი,
უსაქმურათ გდებულიო!
„თავი“ ჩემი, თავის წრეში—
კაცია დიდებულიო,
გარეშეთა ინტერესი
განზე აქვს მიგდებულიო!..
„კნიაზებიც“ ბლომათა მყავს,
ნაზი, გალაღებულიო;
სიტყვით ყველა მკვეხარები,
საქმით—პირ-დაღებულიო.
უნივერსიტეტიცა მაქვს—
(ნავთლუღში წაღბულიო),
ქალაქი ვარ ჩინებული,
ფართო, გადიდებულიო“.

ქუთაისმა გამოსძახა:
„ნუ გამბერე ტრაბახითო!
„კნიაზები“ მეც ბლომათ მყავს—
ჩოხითა და ფაფახითო.
„ერი“ თავსა მაქცევიებს—
ერთვნული ღაყლაყითო,
„სალარო“ გატენილი მაქვს—
თაგვებით და ბაყაყითო!
მე შენ ბევრათ წაგაცილებ
მოყიალე ახმახითო,
შენი ხალხი ჩემს ქალაქში
დაიხრჩვება ტალახითო“...

ბათუმმა შემოუძახა:
„ნეტა რასა ჩხავითაო!
კავკასიის ქალაქებში
ნაქები ვარ „თავითაო“;
თუ არ გჯერათ, მოდით დასტკბით
ამ ჩვენს სანახავითაო:
მცხოვრებლები ქუჩა-ქუჩა
დავცურაობთ ნავითაო!
ბულვარდი მაქვს, საუცხოვო
საგულაო ღამითაო,
ქალი-კაცი, კუნჭულებში
დასტკბებიან წამითაო!
„ბუნტოვჩიკნი“ გავაძევე
თავიც მომწონს ამითაო;
მეც სხვასავით ახალ „ბუხტებს“
არ ვაშენებ ქრთამითაო!“

ფოთი აგრე იძახოდა:
„ნუ გამბერეთ ქებითაო!
გული ძალზე მიქაქანებს
მეტის მოთმინებითაო!

მთელ თქვენ შრომას გავიფასებ—
ჩემი გაფიცვებითაო,
ქალაქი სულ გამოვქედე—
„შტრეიბეხერებითაო“.
„თავი“ ჩემი—ავაზაკთა
მფარველია ნებითაო
და თქვენ ჩემთან რაღას ყბედობთ,
რაღას იბრაქებითაო!“.

ოზურგეთმა გადმოსძახა:
„მოიხედეთ აქითაო!..
სულ ყველამ ძალა წაიღეთ—
ტრაბახით და ბაქითაო!
მე ვაჭრობა გავადიდე—
ორი აფთიაქითაო!
წამლებს ეხლა ყველანი ვსვამთ
(მეტის სიიაფითაო).
ქუჩებს მალე დაინახავთ—
განათებულს ჭრაქითაო,
ტროტუარი—ახლაც არის
დაწმენდილი „ლაქითაო“!
მეც თქვენსავით—„თავი“ მომწონს
ამ ჩემი ქალაქითაო,
მალე ნახავთ რკინის გზაიც
მოვიდეს ჩაქ-ჩაქითაო!.
თუ მანამდე მცხოვრებლები
არ დამეხრჩვა ლაფითაო,
ვაქციფებ, ღვინოს ვასუმ—
ყანწითა და ჩაფითაო“.

—

დანარჩენმა ქალაქებმაც
პროვინციის განაპირას,
რომ გაიგეს ეს ტრაბახი—
გადავიდნენ თავდა-ყირას!
მაგრამ, მეც რომ უხმობ „მუზას“,
განა ვინმე მაძლევს ქირას?!
დღეს ეს კმარა ბაქი-ბუქად,
დანარჩენი—შემდეგ კვირას.

მათრახოსანი.

მრეწველთა სამეფოში

1) გაიხსნა ს. ფ. საჯირითო მოედანი ქალაქ ქუთაისში. შესვლა და ყურების ნება ეძლევათ ცენზიან მრეწველებს შავი ქვისას. მოჯირითენი 15-დის არის. ვნახოთ ვინ აიღებს „პრიზს“.

2) გამოიწერეს 6 ფარანი ელექტრონის, დაჰკიდეს ერთ ადგილზე, რამაც გამოიწვია „პროტესტი“. პასუხათ მიიღეს: „ამ ორ წელიწადს სანიმუშოდ აქ ეკიდება და თუ გამოდგა შემდეგ სხვა ადგილისათვისაც გამოვიწერთო“.

3) ჩვენი თეატრის მესვეურნი წარმოდგენის დროს 2 საათს დეკორაციის ვამოცვლას უნდებათ, 5 წამი კი სცენაზე ფუსფუსს. ზარების წკრიალი, როგორც ვიცი სხვა ადგილზე 3-ჯერ იციან აქ-კი 3×101-ჯერ, რის გამო მოთმინება ეკარგებათ მაყურებელთ. რაც უნდა პატარა პიესა იყოს ნაშვალამევის 4 საათამდის ვერ ელირსებით შინ დაბრუნებას.... ნეტავ რო—დე—მდის?!

4) დაეძებენ „სატანას“. გამოწერილია მაძებარი ძაღლები.

5) ამას წინათ გარდაცვლილი სოფრომი კვლავ მოევლინა დაბას. დიდი ოვაციებით შეხვდენ თანამოაზრენი და არც ეძრახებათ, რადგან ეს მეორე მაგალითია კაცობრიობის ისტორიაში, ასე უბრალო ადამიანი აღმდგარიყოს მკვდრეთით. ეს მეორე ლაზარეა.

6) როგორც ამბობენ სოფრომის ჩამოსვლა გამოუწვევია დღევანდელ ჯირითს, სადაც მიწვეულია სეკუნდანტათ ქალ. ქუთაისში.

სატანა.

ნ ა ნ ა

(ავლაბრელებს)

პაატაშვილის გვარის ხარ
ჩემო პეპელაო!
რაზედ შეკრთი, გენაცვალე
რა მოგეჩვენაო?
ვაჰ, თუ ძილსა შიგან ნახე
ცუდი ზმანებაო,
და იმისგან მოსვენება
არ გეკარებაო.
ან გაწუხებს დარდი დიდი:
მავნე ფიქრებიო,
სამკითხველოს რომ არა აქვს
ჟურნალ წიგნებიო!
აკოშკები ჩალეწილი,
კარებ-ფლეთილიო,
ვაი თუ რომ ამითიც ხარ
შენ გულ-ხეთქილიო?!
თუ მას ჰფიქრობ: სამკითხველო
საყინულეს ჰგავსო!
შენ თბილათ ხარ, მკითხველები
წაუღია ქარსო.
ან იქნება, დარდი დარდზედ
მან მოგიმატაო,
რომ ხუთ წელში სამკითხველომ
ვერ-რა იმატაო?

რაზედ ყუჩობ! წუთს გონებას
    გაჰკარი დეზიო,
ამიხსენი რა გაღონებს,
    რაა მიზეზიო!..
მე კი ჩემო, ამბავს ამას
    ყური მოვჰკარიო,
რომ წევრებზედ გაბუტულა
    მკითხველთა ჯარიო!
და მწყობრისად დარაზმულა
    რაზმი მარქაფიო,
ამბობენ რომ—მოთმინების
    გაგვიწყდა ძაფიო?..

კუჭია.

სევდიანი კუპლეტები.

უკუნეთის ბნელი ღამე,
განათა ბადრმა მთვარემ
და მოჰფინა ყველგან შუქი,
საუცხოვოთ მოელვარემ.
    შენც მთვარე ხარ, ჩემო კარგო!
    მელანდები მხოლოთ ღამით
    და აშუქებ ამ ჩემს გულსა —
    მოჩვენებით — ერთი წამით!..

***

ჩუ, დაჰბერა ზამთრის სიომ,
თან ჩხავილი ისმის ყვავის;
ბულბული კი აღარ ჰგალობს,
ბაღში ვარდი აღარ ჰყვავის!..
    შენც ვარდი ხარ, ჩემო კარგო!
    სახით ვარდი, ხმით—ბულბული;
    ზაფხულში კი ხშირად მატკბობ,
    ზამთრობით ხარ დაკარგული!.

დარდიანიძე.

დაბა სოფლები

ქ. ბათუმი. არ იქმნა და არა, ქართველების გამოწყებულ ეკლესიის შენების მოსრულება. ამბობენ: საამშენებლო კომისიამ, ცნობილ მღვდელს ჩამოართვა ხსენებული ეკლესიის შენების მინდობილობა და იმასაც ამბობენ, ანგარიში მოსთხოვეთ. „ანგარიშზე“ უკაცრავათო“,—უპასუხნია მოძღვარს, —ადრე მოგეთხოვათ სულ სხვა იყო და ეხლა, როცა საკუთარი სახლის შენება დავიწყე.. რა დროს ანგარიშებიაო?!.

— ამ ცოტა ხანში, როგორც ხმა დადის, ქალაქის თვით-მმართველობის დარბაზში მოხდება ქალაქის მამების საგანგებო კრება. განიხილავენ ფრიად დიდ მნიშვნელოვან საქმეს, ე. ი. მიზეზს, საერთოდ ყველა აქაური ქალაქის მამების თავქარიანობას. ბევრი მათგანი თურმე იმ მოსაზრების ყოფილა, რომ ეს არა სასურველი მოვლენა, მუშების ცოდვამ არგუნა მათ, ვინაიდან არც ჯამაგირებს უმატებენ და არც მათ ბინებზე ზრუნავენ... თუ ამ აზრს სხვებიც დაეთანხმა, მუშების საქმე წაღმაა, მარა ისიც სთქვეს: უკეთუ მათ „გაბრწყინებულ“ თავებზე კოჩორი არ ამოვიდა, მოსალოდნელია მუშებს ჯამაგირი მოუკლონ და მოკლებულით გამოიწერონ საკოჩრე წამალიო.

— აქ არსებობს ე. წ. „რკინის თეატრი“, რომელიც უფრო მეჯოგეთა საჯოგეს წაჰგავს და რომელშიაც ქართველი დრამატიული დასი წარმოდგენებს ჰმართავს. გამგეობამ შეამცირა დამსწრეთა შიგ უბილეთოთ ცუნცული, მარა საქმეს არც ამან უშველა რა! ეხლა ერთ სკამზე 4 კაცი მოდის ერთ და იმავე ნომრის ბილეთებით, რის წყალობითაც წარმოდგენის დროს გაჩაღდება ხოლმე „მუსაიფი“. როგორც მოგახსენებენ, დამნაშავემ ბოდიში მოიხადა თურმე გამგეობის წინაშე და ფიციც დასდო, რომ შემდეგისათვის ასე უტაქტიკოთ აღარ იმოქმედებს'.

ბალჯანია.

—

ჩაქვი. ჩაქვის ახლოს იქ „ტუნელთან“
    ბალი არის მოსაწონი;
    რომელშიდაც გამგეთ არის
    ყოვლად „წმინდა“ იასონი.
საზღვარ გარეთ ყოფნის შემდეგ
მან დაითქვა ისიდორი!
ჯოჯოხეთშიც ვევინ ნახოს
მისი ტოლი, მისი სწორი!
    „დიპლომიც“ აქვს „ატესტატიც“,
    კაცი არის საკითხავი;
    საფრანგეთში ვიყავიო!
    ამით ძლიერ მოსწონს თავი.
მუშებს საქმე გაუჭირა
სულ ჩხუბობს და აღარ ცხრება,
მან არ იცის თუ რას ჰქვია
ნორმალური დასვენება.
    მუდამ წამში უკან დასდევს
    იგინება, მოსდის გული,
    უნდა რომ დაიმსახუროს
    უფროსთაგან სიყვარული.
ზნეობაზე ნურას ჰკითხავ,
შუბლი აქვს მას ერთობ სქელი,
თუ შენიშვნა მიეც რამე,
რევოლვერზე მიაქვს ხელი..
    მე ვერვინ მომერევაო,
    ჰკუაზეა სუსტათ მგონი,

ღმერთმა მტერსაც ააშოროს
ამისთანა „ჩემპიონი“.
ეპფეროზასაც რომ ჩემობს —
ფულის მონა ხალხის მტერი,
ისეა ის ფედერალი,
როგორც მე ვარ მინისტერი.
თუმცა ზოგჯერ მეც მინახავს
ფედერალი ხულიგანი;
ვინც რომ უნდა ბრძანდებოდეს —
მათრახი და მისი ჯანი.

ისკანდერ.

—

ქ. ფოთი. მდინარე რიონი ეს რამოდენიმე ხანია კლებულობს, გამოცდილ პირებს რომ კითხოთ' ასთე გიპასუხებენ! ღამ-ღამობით გადმოდის და მელვინების ახალი მაჭრის ბოჭკებში იპარებაო, დასწყევლოს ღმერთმა ვინ გამოიცნობს, რიონის წყალი და ახალი მაჭრის ფერი ერთია, გემოთ ტკბილი, ფასი ბოთლი აბაზი. აბა ერთი მითხარი მიკიტნების ოინების სად იწყება თავი და სად თავდება ბოლო! მოდი მუშებო სანამდი მას შევიტყობდეთ ვსვათ და ვსვათ, ფული თუ არა გვაქვს თავდები მივცეთ, გვენდობიან დღეისწორამდი მაინც.

მუშა შხეფელი.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

აკეთი. განსვენებულ პავლეს სამახსოვროთ აქაურ კარტოჟნიკებს განზრახვა აქვს მისი ნაქონი სახლი კაფენიათ გადააკეთონ, მხოლოდ შიშობენ, რომ მღვდელი მას არ დაანებებს.

იქიდანვე. აქაურ მასწავლებლებში ზოგში დიდი მწუხარება ტრიალებს გასპარიანცის გაუბედურების გამო, ზოგს კი ჭამის მიდაც წამხდარი აქვს და ზოგს თითო ვერშოკი სიმაღლე მოემატათ.

კია.

(ჩიტუნას სააგენტო)

ფოთი. „დასტრახულ“ სახლებს მოედვა „უკურნებელი“ სენი „ანთება“. „ავათმყოფ“ სახლთა რიცხვი ერთობ დიდია. ჯერ-ჯერობით გაემბზავრა „საიქიოს“ მხოლოდ ხუთი. „სენის“ გაჩენის მიზეზებათ, თუ დაუჯერებთ ბოროტ ენებს, ასახელებენ „ბანკის ტორგების“ მოახლოვებას.

იქიდანვე. ხუთი ათას მოქალაქესაგან ხელმოწერილი „პროშენიე“ გაეგზავნა ქ. სუხუმში, ქართველ ავიატორ Кебуровъ-ს. სთხოვენ ჩამოიტანოს თავისი ჰაეროპლანი და მოაწყოს მათი გადაყვან-გადმოყვანა ჰაერში, ვინაიდან ჩვენს კურთხეულ „ღოროდ“ ფოთში არის ისეთი ქუჩები, სადაც ფეხით კი არა ეტლით სახიფათოა მოგზაურობა.

ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

„ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘ“

გამოვა ყოველ კვირა დღეს, თუ რაიმე გარემოება არ შეგვიშლის ხელს.

საჭიროა ჩვენმა კორესპონდენტებმა მოგვაწოდონ, როგორც სადღეისო მასალები, აგრეთვე — სამათრახო და სახოგადო მოღვაწეთა სურათები, კარიკატურებისთვის.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები და რეკლამები ფერადის კრასკებით. ფასები რედაქციასთან მორიგებით.

იყიდება გასული წლების იუმორისტული ჟურნალები:

1) **ეშმაკის მათრახი** — 1908 წ. 34 ნომ. 2 მ. 50 კ.
2) **მათრახ-სალამური** 1909 „ „ „ 2—50 „
3) **ალმანახები** 1909 წ. 10 ნომერი — —50 „
3) **მათრახ-სალამური** 1910 წ. 33 ნომ. 2—50 „

ვისაც ყდით სურს, თითო წიგნს მიემატება ფასი თითო მანეთი. მსურველებს პროვინციებშიაც გაეგზავნებათ ჩვენის ხარჯით.

მისამართი: Тифлисъ, Типографія Шрома Теофилу Болквадзе.

მხატვარი

ვ. დ. ძილაძე

მუხრანის ქუჩა, სახლი № 23.

ვიღებ დასახატად ყოველგვარ სამხატვრო საქმეებს: ესკიზებს, კარიკატურებს ჟურნალ-გაზეთებისთვის და აგრეთვე ლიტოგრაფიის საგრავიურო საქმეებს.

ფასები ყველასთვის ხელმისაწდომია.

ð 158
1913

გამოცანა.

(ჩოჩხათისთვის)

თუ ჩოჩხათელი მღ'მა გლეხები გულ დასმით და ყურადღებით დაუკვირდება არც იმდენი ძნელი გამოსაცნობია: წოდებით უზნაური, წინეთ ხალხის გულშემატკივარი, ეხლა კი მათი წინააღმდეგი, უსაქმოთ მოხეტიალე, გააფერისტებული. ვინც დროით გამოიცნობს და მაცნობებს—მას საკალანდოთ გაეგზავნება დედო ხაჭაპური ისილოის ფურნეში გამომცხვარი.

კონწაროხი.

წერილი რედაქციას.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ დაუთმოთ ადგილი ამ მცირე წერილს. თქვენს ჟურნალ ,,მათრახის“ მე-6 ნომერში მოთავსებულია ვინმე ,,სათაელისაგან‘‘ ხელმოწერილი საოხუნჯო კუპლეტები ოზურგეთისათვის სადაც სხვათა შორის მოხსენებულია გ. ქ—ძე. ამისათვის წინადადებას ვაძლევ მას საჩქაროთ მიპასუხოს, თუ რომ მე ვყავარ სახეში დამიმტკიცოს ყოველივე ის რასაც თავის კუპლეტებში ამბობს. წინააღმდეგ შემთხვევაში მე იძულებული ვიქნები შესაფერი სახელი უწოდო.

გ. ქარცივაძე.



ქართველი ჩარჩების მოთქმა:

— ვაი ჩვენო ფულებო—
ოხრად დახარჯულებო;
და ვერის მამულებო,
ჩვენგნით შესყიდულებო.

— მოვიგებდით გვეგონა,
არ დავზოგეთ ფულები
და ქე დავრჩით პირ-ღია,
თვალებ დაქუცულები!..

ელექტრო-მბეჭდავი „შრომა“, მუხრანის ქ. № 12. რედ.-გამომც. თ. ბოლქვაძე